განმარტებითი ბარათი

„ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე .

ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ: პროექტი მომზადებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მოთხოვნათა შესაბამისად და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;

ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

პროექტის მიღების მიზეზი და მიზანია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის მოთხოვნების შესრულება.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტით ხორციელდება, 2021 წლისათვის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების და გასაწევი გადასახდელების ნუსხის დამტკიცება საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობები;

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 16 351,0 ათას ლარს.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებლები შეადგენს 13 111.5 ათას ლარს.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 16 361.5 ათასი ლარით. 2020 წლის ბიუჯეტთან შედარებით 2021 წლის ბიუჯეტი გაიზარდა 609,5 ათასი ლარით. (2020 წლის ბიუჯეტი დაიგეგმა 15 752 .0 ათასი ლარი), 2021 წლის ბიუჯეტის ზრდა განაპირობა ცენტრალური ბიჯეტიდან მისაღები შემოსულობების ზრდამ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2020 წლის 05 ოქტომბრის N04-03/123548 მომართვის თანახმად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის საგადასახადო შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 13 111,5 ათასი ლარით,

აქედან

1) დამატებული ღირებულების გადასახადი შეადგენს 10 511,5 ათას ლარს.
2) შემოსავალი ქონების გადასახადიდან - 2 600.0 ათას ლარს

- ქონების გადასახადი საქართველოს საწარმოთა ქონებაზე - 2000.0 ათასი ლარი;
- ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – 10.0 ათასი ლარი;
- ქონების გადასახადი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 190,0 ათასი ლარი.
- ქონების გადასახადი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 400.0 ათასი ლარი.

3) მიზნობრივი ტრანსფერები - 170,0 ათასილარი,

4) სხვა შემოსავლები - 2980.0 ათასი ლარი, აქედან:

- მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 200.0 ათასი ლარი;
- შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) - 20.0 ათასი ლარი;
- სანებართვო მოსაკრებელი - 40,0 ათასი ლარი.
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 1000,0 ათასი ლარი.
- ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 150.0 ათასი ლარი;
- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება - შემოსავლები მომსახურების გაწევიდან - 70.0 ათასი ლარი;
- ჯარიმები, სანქციები და საურავები - 1500, ათასი ლარი;

5) არაფინანსური აქტივების კლება - 100.0 ათასი ლარი;

აქედან:

- ძირითადი აქტივების კლებიდან გადასახადი - 20.0 ათასი ლარი;
- არაწარმოებული აქტივების (მიწა) კლებიდან გადასახადი – 80.0 ათასი ლარი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, 2021 წლის შემოსულობების გეგმა შეადგენს 16 361.5 ათასი ლარს.

აღასანიშნავია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პარამეტრებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია გლობალური პანდემიით (COVID-19) გამოწვეულმა ეკონომიკური განვითარების ტენდენციებმა. პანდემიასთან დაკავშირებული გაურკვეველი მდგომარეობა მნიშვნელოვნად ართულებს შემდგომი წლის ბიუჯეტის შემოსავლების ზუსტ პროგნოზირებას, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებული იქნება ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებზე და პანდემიით გამოწვეული შეზღუდვებიდან გამომდინარე ეკონომიკურ აქტივობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი არ ითვალისწინებს ბიუჯეტში წლის ბოლოს არსებული ნაშთის ასახვას. ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ ტრანსფერებს. როგორიცაა რეგიონების განვითარების ფონდიდან გამოსაყოფილი ტრანსფერები ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის, სოფლის მხარდამჭერი პროგრამების და განათლების ღონისძინებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერები. ამ ტრანსფერების გამოყოფის შემდგომ 2021 წლის მაჩვენებელი რამდენადმე გაასწრებს 2020 წლის მიმდინარე პერიოდში არსებულ (30 685.0) ბიუჯეტის მოცულობას.

აღსანიშნავია, რომ ბოლო 3 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ძირითადი ეკონომიკური პარამეტრები მუდმივად გაუმჯობესების ტენდენციით ხასიათდებოდა და ეს განსაკუთრებით 2019 წელს გამოჩნდა. კერძოდ, 2019 წელს დაფიქსირდა მოსალოდნელზე მაღალი მოცულობა ბიუჯეტის. აღნიშნული უკავშირდებოდა 2019 წლის 1 იანვრიდან საბიუჯეტო კოდექსში ამოქმედებულ ცვლილებას, რომლიც მიხედვითაც, ერთის მხრივ, გაუქმდა გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე საშემოსავლო გადასახადის ის სახეები რომლებიც გასულ წლებში ირიცხებოდა ადგილობრივ ბიუჯეტებში და აღარ ირიცხება მუნიციპალურ ბიუჯეტებში. ხოლო მეორეს მხრივ ამოქმედდა გადასახადების განაწილების პრინციპი (ე.წ. Tax share), რომლიც მიხედვითაც ადგილობრივ ბიუჯეტებში ირიცხება დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მობილიზებული თანხის 19%.

პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს პროექტი:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალური ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, ადგილობრივი ორგანოების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

2. მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილიც განსაზღვრული იქნა 16 361.5 ათასი ლარით.

2021 წლის ბიუჯეტის ხარჯი, პროგრამული კოდების შესაბამისად, განსაზღვრულია შემდეგი სახით:

01 00 მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები **- 38**27.1 ათასი ლარი, მათ შორის:

- 01 01 საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა-3352.1 ათასი ლარი;
- 01 01 01 მუნიციპალიტეტის საკრებულო - 891.0ათასი ლარი;
- 01 01 02 მუნიციპალიტეტის მერია - 2526.4 ათასი ლარი.
- 01 01 03 სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური-112.2 ათასი ლარი;
- 01 01 04 კადრების მომზადება-გადამზადება-22.5 ათასი ლარი;
- 01 02 საერთო დანიშნულების ხარჯები-275.0 ათასი ლარი
- 01 02 01 სარეზერვო ფონდი-120,0 ათასი ლარი;
- 01 02 04 მოქალაქეთა ჩართულობა- 155.0 ათასი ლარი

02 00 ინფრასტრუქტურის განვითარება**- 5008.6** ათასი ლარი, მათ შორის:

02 01 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 1334.9 ათასი ლარი.

მათ შორის:

- 02 01 01 გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება-1164.9ათასი ლარი;
- 02 01 02 გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება - 100.0 ათასი ლარი;
- 02 01 04 ხიდები და ბოგირების მშენებლობა- 70,0 ათასი ლარი;

02 02 წყლის სიტემების განვითარება 1443.9 ათასი ლარი,

აქედან:

-02 02 01 სანიაღვრე სისტემის ექსპლოატაცია/რეაბილიტაცია -380.0 ათასი ლარი

-02 02 02 სასმელი წყლით უზრუნველყოფა- 1063.9 ათასი ლარი

02 03 გარე განათება- 460,0 ათასი ლარი.

აქედან:

-02 03 01 გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია- 400,0 ათასი ლარი
-02 03 02 გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა-60,0 ათასი ლარი.

-02 05 - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება- 300,0 ათასი ლარი

02 06- კეთილმოწყობის ღონისძიებები- 1 069.8 ათასი ლარი, აქედან:

-02 06 01 -წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები,გამწვანება-განაშენიანება- 817.8 ათასი ლარი;
-02 06 03 საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია- 252,0 ათასი ლარი

02 08- საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა 150,0 ათასი ლარი.
02 09- სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება - 250,0 ათასი ლარი;

03 00 -დასუფთავება და გარემოს დაცვა- 1100.9 ათასი ლარი, აქედან:
03 02 -უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები-50,0 ათასი ლარი
03 03ა (ა)იპ „დასუფთავება და ნარჩენების გატანა"- 1 050.9 ათასი ლარი

04 00- განათლება- 2700.0 ათასი ლარი, აქედან:

-04 01 ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანება" - 2700.0 ათასი ლარი

05 00 კულტურა, რელიგია ახალგაზრდობა და სპორტი -2 160.0 ათასი ლარი.
აქედან:
05 01 - სპორტის განვითარების ხელშეწყობა- 723.0 ათასი ლარი; მათ შორის:
- 05 01 01 სპორტული ღონისძიებები-23,0 ათასი ლარი.
- 05 01 02 სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა-700.0 ათასი ლარი. მათ შორის:
05 01 02 01 „ წყალტუბო არენა" -140.0 ათასი ლარი
05 01 02 02 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „სპორტული კლუბების გაერთიანება"- 500.0 ათასი ლარი;
05 01 02 04 სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა (მოედნები)-60.0 ათასი ლარი.

05 02 კულტურის სფეროს განვითარება - 1427.9 ათასი ლარი, მათ შორის:
05 02 01 კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა- 1250.5ათასი ლარი
-05 02 01 01 წყალტუბოს" ბავშვთა და ახალგაზრობის ცენტრი „-500.5 ათასი ლარი;
-05 02 01 02 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „კულტურის ცენტრი"-650.0 ათასი ლარი;
-05 02 01 03 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი"- 100.0 ათასი ლარი.
05 02 02 კულტურის ღონისძიებები- 77.4 ათასი ლარი

05 02 03 რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა- 100,0 ათასი ლარი
05 03 ახალგაზრდობის მხარდაჭერა-9.1 ათასი ლარი.

06 00 მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - **1564.9** ათასი ლარი. მათ შორის:
- 06 01 „ჯანმრთელობის დაცვა" - 111.6 ათასი ლარი,აქედან
-06 01 01 „საზოგადოებრივი აჯნმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს

უზრუნველყოფა"- 111.6 ათასი ლარი.

- 06 02 სოციალური პროგრამები **- 1**453.3 ათასი ლარი.

მათ შორის:

- 06 02 01 „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი" – 249.6 ათასი ლარი.
- 06 02 02 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარება 3.0 ათასი ლარი.
- 06 02 03 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის - 105,0 ათასი ლარი.
- 06 02 04 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი - 12.0 ათასი ლარი.
- 06 02 05 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება - 451.2ათასი ლარი.
- 06 02 06 „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი" – 140.5 ათასი ლარი.
- 06 02 07 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება - 450.0 ათასი ლარი.
- 06 02 08 სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება - 42,0 ათასი ლარი.

ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები გადანაწილდა შემდეგნაირად:

- ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების ,74.79 % ანუ 12 238.1 ათასი ლარი მოდის ხარჯებზე, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება - 2 517.2 ათასი ლარი;

- საქონელი და მომსახურება - 1 538 .0 ათასი ლარი;

- პროცენტი - 31.8 ათასი ლარი;

- სუბსიდიები - 6 583.4 ათასი ლარი;

- სოციალური უზრუნველყოფა - 1 039.5 ათასი ლარი;

- სხვა ხარჯები - 528.2 ათასი ლარი;

მთლიანი ასიგნებების 24.9% - ანუ 4 067.8 ათასი ლარი მოდის არაფინანსური აქტივების ზრდაზე.

ამდენად, შეიძლება ითქვას რომ წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს მნიშვნელოვანი რესურსების გამოყოფას და ოპტიმალურ გადანაწილებას სხვადასხვა სფეროებზე, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

პროექტი მომზადებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" მოთხოვნათა შესაბამისად და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;

პროექტის ინიციატორია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი.

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: /ფ. გაგოშიძე/